სახალხო გაზეთი

№ 798 ოთხშაბათი, 16 იანვარი 1913 წ. № 798

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**
1) უცხოეთის მწერლები 400 გვ.)
2) ქართველი მწერლები (500 გვ.)

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

☞ დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:
1) **,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

ანნა მიხეილის ასული ქარუმიძისა და თამარა ჩხარტიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, (13 ამ თვეს, საღამოს 10 საათზე), პირველი საყვარელ მეუღლის, მეორე—ბიძის

ნიკოლოზ დავითის ძის ქარუმიძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, ცენტრალურ ფოსტის შენობაში (მადათოვის ქუჩაზე № 5) დღე და ადგილი დაკრძალვისა ცალკე იქნება გამოცხადებული. 44

ხუთშაბათს, 17 იანვარს, ნახევარ წლის გარდაცვალების დღეს **გენერალ ლეიტენანტის**

ილია საყვარელიძის ძე მაკარაშვილის

სულის მოსახსენებლად, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში იქნება გადიხდილი წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი **ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა შვილებითურთ.** წირვა დაიწყება დილის 10 ს., პანაშვიდი 12 ს. ამავე დღეს იქნება გარდახდილი წირვა და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე, ს. არბოს წმ. გიორგის ეკლესიაში. 43.

ალექსანდრე დავითის ძე ძმებით და შალვა ალექსანდრეს ძე ბიძაშვილებით ქარუმიძენი გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—საყვარელ ძმისას, მეორენი—ძვირფას ბიძისას

ნიკოლოზ დავითის ძის ქარუმიძისას

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, ცენტრალურ ფოსტის შენობაში, მადათოვის ქუჩა, № 5, დღე და ადგილი დაკრძალვისა ცალკე იქნება გამოცხადებული. 45.

ქეთევან ლუარსაბის ასული ჟურულისა და გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული მეუღლით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ნახევარ წლის გარდაცვალების დღეს, მათი ძვირფასი სიძის **გენერალ-ლეიტენანტის**

ილია საყვარელის ძე მაკარაშვილის

სულის მოსახსენებლად, ხუთშაბათს, 17 იანვარს, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 ს. და პანაშვიდი 12 საათზედ. 42.

თ-დ დიმიტრი და შალვა სიმონის ძენი, კნ. სოფიო, ელენე, მართა და ელისაბედ წერეთლები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი პირველთა—ძმა, მეორისა—მაზლი და მესამისა ბიძა

თ. ალექსანდრე (ბიჭიკო) სიმონის ძე წერეთელი;

შორაპნის მაზრის-წინამძღოლი; დაკრძალვა დანიშნულია იანვრის 17. საჩხერის წმ. ნინოს ეკლესიის გალავანში დილის 10 საათზე. 47

ეკატერინე ივანეს ასული გიგაურისა, ნიკოლოზ, ივანე, კონსტანტინე და იოსებ მიხეილის ძენი გიგაურები, სოფიო მიხეილის ასული ჩხარტიშვილისა, ბარბარე მიხეილის ასული მეძმარიაშვილისა და სამთო ინჟენერი ივანე სოლომონის ძე მეძმარიაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—საყვარელ სიძისას და უკანასკნელი—ქვისლისას ნადვორნი სოვეტნიკის

ნიკოლოზ დავითის ძის ქარუმიძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, ცენტრალურ ფოსტის შენობაში, მადათოვის ქ., № 5; დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. 46.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 795.**

ხუთშ., 17 იანვარს, 1913 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ **დამსახურებულის მსახიობის**

კ. ს. მესხის საბენეფისოდ

ვას. ალ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება **შექსპირის სახელ-განთქმული ტრაგედია** **ოტელო,** 5 მოქმედებ., თარგმანი ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ქიქოძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, მესხი, მატარაძე, ჟივიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ბილეთებ. ფასი საბენეფისოა.

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ხუთშ., 17 იანვ., ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ მსახ. ბ. ს. **სვიმონიძის** მონაწ. წარ. იქნება **ნინოშვილის** რომანიდან გადმოკეთებ. დრამა **სოფლის გმირები,** 4 მოქ. გადმოკეთ. პ. ირეთელის მიერ. მონაწილეობენ: ქ-ნნი ანტუანეტა, ბადრიძე, გოგოლაშვილი, გოდერძი, რომანიშვილისა, ციმაკურიძე, ყიფშიძე, პიერეტა ყოჩიშვილი, ტანელი; ბ-ნნი: არშაკუნი, ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ვ. განჯელი, ალ. მეტრეველი, კავსაძე, რ. რომანიშვილი, სალაყაია, ს. სვიმონიძე, სვანელი, სამადაშვილი, თვალტრელიშვილი, ნინიძე, ჩიქოვანი, ჩოხელი, წუწუნავა, ჭავჭაველი, ჰუმბურელი, ჰანკვატაძე, ჯაბაური და სხვა. ◆ ადგილ. ფასი 5—50 კ. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

შემდეგი წარ. 26 იანვ., წარ. იქნება ,,მსხვერპლი".

1627 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** წრის ადმინ.

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ბ-ნთ წევრებს, რომ საზოგადო წლიური კრება კლუბის წევრებისა დანიშნულია ამა წლის 20 იანვარს, შუადღის 12 საათზე. განსახილველი საგნები:

1) წარსული 1912 წლის ანგარიში და 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
2) წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა ამორჩევა.
3) მამასახლისთა სარევიზიო კომისიისა და მათი კანდიდატების არჩევა

წევრებს, რომელთაც არ განუახლებიათ ბილეთები 1913 წლისა, არა აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა საზოგადო კრებაზე. 1017.

სამუსიკო სკოლა

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა

(ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6.)

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელის, კონტრაბასის, სიმღერა (solo,—ხმის დაყენება და გავარჯიშება და აგრეთვე ოპერის შესწავლა და სცენისათვის მომზადება) ელემენტარული თეორია, ჰარმონია, ენციკლოპედია, ნოტების კითხვა (solfeggio) და ხოროს კლასებში მოხდება 2 იანვრიდამ ყოველდღე (კვირა უქმეების გარდა) დილის 11-დამ 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათ. ახლად მოწვეულია სიმღერა „სოლო"-ს მასწავლებლად, მოსკოვის კონსერვატორიის თავისუფალი ხელოვანი, **ს. ნ. სოლოვიოვა—სტრახოვისა.**

სწავლის ფასი: ფორტ. პიან., ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში. სიმღერა (solo) და სკრიპკა, 75 მან. წელიწ. თეორეტიული კლასსები 15 მან. წელიწადში. სწავლის ფასი გადახდება წინდაწინ ნახევარი წლისა.

სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან. 1676.

საბავშვო ბაღი
ანასტასია გდევანიშვილისა

მიიღებენ ბავშვებს 5—7 წლამდე

ყოველ დღე. 1015.

გამგეობა მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ 1913 წლ. 24 მარტს, შუადღის 12 საათზე მოხდება

საჯარო ვაჭრობა

როგორც პირადის განცხადებით ისე დაბეჭდილ კონვერტებით, **თოფურიძეულ სახლის** გადაკეთებისა და ზედა სართულის დადგმის

იჯარით გასაცემად 50,000 მანეთად.

ვისაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, ვალდებულია საჯარო ვაჭრობის დღეს, შუადღის 12 საათზე ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას წერილობით განუცხადოს ეს სურვილი, თან წარადგინოს პიროვნების დამადასტურებელი მოწმობა და აგრეთვე საიჯარო თანხის ერთი მეათედი ან ნაღდად ან სარგებლიან ქაღალდებით.

დაბეჭდილ კონვერტში ჩადებულ განცხადებაში ხელით უნდა იყოს ჩაწერილი ფასები და სურვილი იჯარის აღებისა საჯარო ვაჭრობისათვის წარდგენილ სმეტისა და პირობების თანახმად.

საიჯარო ხელშეკრულება დაიდება მას მერე როდესაც თოფურიძეულ სახლის გადამკეთებელი კომისია წინასწარ განიხილავს და დაამტკიცებს მას.

ვისაც სმეტისა და პირობების გადათვალიერება ჰსურს, უნდა მიჰმართოს მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ქუთაისის ბანკის გამგეობას, ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 9—2 საათამდე. 1655

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო კ რ ე ბ უ ლ ი ს

„გრდემლის"

მესამე წიგნის გამოცემა

განზრახულია ამ წლის პირველ ნახევარში. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭოს განზრახული აქვს, რამდენადაც სახსარი ნებას მისცემს, თანამშრომლებს ჰონორარი მისცეს. მესამე წიგნი შემდგარი იქნება ორი ნაწილისაგან ისე, როგორც გრდემლის პირველი წიგნი. მასალას კრებულისთვის მიიღებს საზოგადოების თავმჯდომარე გ. რცხილაძე. ადრესი: ოლღას შესახვევი № 5. 1016.

ახლად გამოვიდა
პაპიროსები
„ეგიპეტსკია"
ძმათა
„სეილანოვების"
ქ ა რ ხ ნ ი ს ა.

ეტიკეტი წარდგენილია ვაჭრ.-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში. 1531

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოდილნაია** ქ. ბებუთოვის ქ. № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 847

ვასწავლი

ქართულ

„სიმღერა-გალობას"

ჩაწერა და მიღება ყოველ დღე, ავჭალის მოედანი **№ 11, მიხეილ კავსაძესთან.** 886

საბურთალოზე

☞ **მშვენიერ ალაგას,** ☜ ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის** [illegible] **შემოიტანონ** [illegible], თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1020

ელექტრონისა და რენტგენის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. 1022

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მიხაკოვის ქუჩა, № 3. [illegible]

ექიმი **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი **შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 [illegible]—6½ საათ. კახეთის ქ. № 6.

ექიმი **ი. ი. ბარიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ. № 9, კიროჩნი ქუჩის ახლო, სავაჭრო განყოფ. პირდაპირ 102

ექიმი **კბილისა** **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი **ი. კ. აბაკელია**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ.** № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. ½ ს.

ახვლედიანი შინაგან სნეულ. საშავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ო[illegible] ოთ შაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. —3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—2½ ს.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. საღ. 4—5 ს.

ა. ა ხოლინევი—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

ქართული პრესა

ტფილისის გუბერნიის ცენზოსნებმაც კი გაიგეს, რომ დღევანდელ პირობებში საჭირო იყო მარშლად ნეიტრალი ადამიანის არჩევა, შეიგნეს, რომ არც თავ. კ. ი. თუმანიშვილის, არც თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილის არჩევა სახეიროს არაფერს უქადდა მას. მხოლოდ „კლდე"-ს ვერ გაუგია ესა და ახალგაზრდურის ჟინიანობით დაიმღერს ახალს სიტყვებს მოძველებულ ჰანგებზე—რაში მდგომარეობს „სახალხო გაზეთი"-ს პოზიცია, ვერ გაგვიგიაო.

„რკინის გზის სადგურებზე არიან ისეთი ცარიელი ვაგონები, რომლებსაც ხან ერთ მატარებელს გამოაბამენ, ხან მეორეს. ჩვენი ცხოვრების სადგურზედ „სახალხო გაზეთი" ამ ცარიელი ვაგონის როლსა თამაშობს. მას არა აქვს თავისი საკუთარი ლიანდაგი, თავისი საკუთარი ტვირთი.

როგორც ეტყობა ცარიელ ვაგონად დარჩენა „კლდე"-ს არა სწადია, ამოურჩევია თავისი საკუთარი

გზა, რომელსაც დეპუტატთა საკრებულომდე მიუყვანია, დაუნახავს ბაგრატიონ-დავითიშვილი და უფიქრია, ალბად ეს ერთად-ერთი გზაა ცხოვრებისაო, ვინც ამ გზით არ მიდის, სრულიადაც არა ჰქონია გზაო. სულ რამდენიმე დღე არ გასულა ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ, და ერთბაშად, მხოლოდ არა ჩვენთვის, არამედ „კლდისთვის“, აღმოჩნდა, რომ თურმე ყველა გზებს ბაგრატიონისკენ არ მიჰყავს ადამიანი. მაინც გულს არ გაიტეხავენ, აცუნცრუკებული ყმაწვილები არიან. „კლდე“ ჭკუას გვასწავლის:

„სახალხო გაზეთს“ ერთი სასაცილო ჩვეულება სჭირს. პირველი პირის შესახებ მუდამ მესამე პირის პოზიციას იჭერს. როცა არწმუნებენ გაზეთს, რომ არ შეიძლება რიცხვების ასე თვლა, და პირველიდან პირ და პირ მესამეზე გადასკუპება, რადგან პირველსა და მესამეს შორის მეორე არსებობს, მაშინ იგი წინ აყენებს ეგრედ წოდებულ თავის „მესამე პოზიციას“.

„კლდე“, როგორც ყოველი ორგანო, თავისუფალია თავის არჩევანში. მოისურვა და **მეორე** პირი აირჩია. თუ ძალიან ესიამოვნება, იაროს ამ პირით, **გაშავებული** პირით.

* * *

ბაქოს ახალ ჟურნალ „წყარო“საც თავისი გზა აქვს, გზა გაუთავებელ დემაგოგობისა. იგი ახასიათებს ბაქოს გაზეთ „ბაკუ“-ს და სხვათა შორის სწერს:

„როგორც ვსთქვით, აი ეს ბაქო“, აი ეს ვერმიშევი ერევა ხოლმე ჩვენს, ქართველების შინაურ ურთიერთობაში და ხან და ხან ამ კითხვას მოწინავე წერილებსაც კი უძღვნის. თვითონ ვერმიშევი, რასაკვირველია, ასეთ წერილებს და შენიშვნებს არა სწერს, ამის კაცს ყოველთვის პოულობს. ერთ ასეთ კაცად მას მოევლინა ბ. განი, რომელიც კარგად უნდა იცნობდეს ქართულ საზოგადო ცხოვრებას და გადაჭრით ეკედლებოდეს ერთ მის მიმდინარეობას. ასე რომ მისი მეოხებით და ვერმიშევის ლოცვა-კურთხევით გაზ. „ბაკუ“ გადაიქცა „სახალხო გაზეთი“-ს ფილიალურ განყოფილებად. რაც რომ ქორები ცხვებოდა „სახალხოში“ საარჩევნო კომპანიის და ქართველ ს.-დემის შესახებ—„ბაკუში“ ითარგმნებოდა და ხალას ჭეშმარიტებად ცხადდებოდა... ერთის სიტყვით გაზ. „ბაკუ“ გახდა „სახალხოელთა“ ბაკუს ორგანოდ“.

ერთის სიტყვით, ხვალ რომ „წყარომ“ სთქვას, „სახალხო გაზეთი“ წინეთის გადაყენებულ იმპერატორის ოფიციოზიაო, უნდა დავიჯეროთ—მეტი გზა არ არის. თუ კი „ბაკუ“ „სახალხო გაზეთ“-ს ფილიალურ განყოფილებად მოეჩვენა „წყარო“-ს, რა დაგვიშლის ფანტაზიას მეტი თავისუფლება მივსცეთ და წარმოვიდგინოთ, რომ ვსთქვათ, „მატენიც“ ან ტაიმსიც“ „სახალხო გაზეთი“-ს ფილიალური განყოფილებანი არიან. ფანტაზიას და მერე ისიც ერთი ჯურის ხალხის ფანტაზიას ბევრი რამ შეუძლიან.

ამის შემდეგ ჟურნალი „წყარო“ არკვევს იმას, თუ რატომ არ მოაწერეს ხელი დეპ. გელოვანის კითხვაზე ჩხენკელმა და ჩხეიძემ.

„უნდა იცოდეს ისიც,—სწერს „წყარო“,—რომ გელოვანის და მისი პარტიის წინააღმდეგ წამოყენებულია განსაზღვრული ბრალდებანი, სახელდობრ ის, რომ ის გავიდა დეპუტატად ადმინისტრაციის დახმარებით და სხვა სათაკილო საშუალებებით. აი, ეს ბრალდება უნდა გაარჩიოს მედიატორეთა სამსჯავრომ, რომლის თავმჯდომარე არის ცნობილი მწერალი კოროლენკო. სანამ განაჩენი არ იქნება გამოცხადებული, მანამდის ბ. გელოვანი ითვლება ბრალდებულად, რომელიც შეიძლება გამტყუნდეს, შეიძლება გამართლდეს. ხოლო სანამ ბრალდებისაგან არ განთავისუფლებულა—რა ზნეობრივი უფლება აქვთ ჩხეიძე—ჩხენკელს შეუერთდნენ მას თავის ნაბიჯებშიო?“

გარდა ჩვეულებრივ დემაგოგობისა, აქ ბევრი რამ ცინიკურის უტიფრობითაა დამახინჯებული. ბრალდებულის სკამზე ზის არა გელოვანი და მისი პარტია, არამედ გეგეჭკორი და მისი ამხანაგები. გეგეჭკორმა დასწამა ცილი გელოვანსა და მთელ პარტიას, გელოვანმაც გეგეჭკორი მისცა სამედიატორო სამართალში. მაშასადამე, დამნაშავის სკამზე ზის არა გელოვანი და მისი პარტია, არამედ ცილის მწამებელი გეგეჭკორი და ყველა მისი ამხანაგები. „წყარო“-ს კი ჰგონია, სამართლიანია გეგეჭკორმა სთქვას, ამა და ამ პარტიას მთავრობა ეხმარებაო, რომ ერთბაშად მთელი პარტია ბრალდებულად იქცეს. ამისთანა საქმისთვის გეგეჭკორს არც ძალა შესწევს და არც ჭკუა.

რომ მთავრობა სოციალ-ფედერალისტებს ეხმარებოდა, ამას გეგეჭკორი ვერასოდეს ვერ დაამტკიცებს, მაგრამ „სოლოლაკელმა“ ბურჟუაზიამ რომ ჩხეიძეს მისცა ხმები ამას კი ჩვენ თამამად ვამბობთ. დღეს თუ ჩხეიძე სათათბიროში კანონმდებლობს და ბოლმასა და ნაღველს ასხამს სოციალისტ-ფედერალისტების კანდიდატს გელოვანს, ამაში უპირველესი ღვაწლი მიუძღვით სოლოლაკელთა სომხის ბურჟუაზიას ბ-ნთ ხატისოვებისა და ბაბოვების მეთაურობით. სოლოლაკელთა დახმარებით არჩეულ დეპუტატს განა კიდევ შეუძლიან ვისმეზე ილაპარაკოს?

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ნინოობა ტფილისში.** 13 იანვარს, წმ. ნინოობის წინა დღეს, სიონის საკათედრო ტაძარში მლოცველი იყო საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. ნინოობა დღეს, მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი. განიცადეს დროს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა სიონის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მ. ტყემალაძემ; სიტყვა წარმოსთქვა პარაკლისზე აგრეთვე გორის ეპისკოპოსმა ანტონიმ. წირვა ქართულად იყო. გალობდა კ. ჩარკვიანისა და სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა გუნდი. ტაძარში დიდძალი მლოცველი იყო.

◆ **წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში** 14 იანვარს მწირველი იყო საქართველოს ეგსარხოსი ინოკენტი. წირვას დაესწრნენ მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვა-დაშკოვისა, სამოსწავლო-ოლქის წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. წირვის შემდეგ სასწავლებლის შენობაში გაიმართა წლიური სადღესასწაულო აქტი, რომლის გათავების შემდეგაც საპედაგოგიო საბჭოს დადგენილებით ოქროს ჯვრები დაურიგეს იმ მოსწავლე ქალებს, რომელთაც მეშვიდე კლასი აქვთ დასრულებული. ქართველთაგან ჯვრები მიიღეს: 1) ელენე ბარნოვამ, 2) ქსენია კურცხალიამ, 3) მარიამ ჭავჭავაძემ და 4) ქსენია ლიონიძემ.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** ქალაქის საბჭომ საუნივერსიტეტო კომისიამ დაადგინა, ამ დღეებში კრება დანიშნოს მომავალ პოლიტეხნიკუმის საქმეებზე სათათბიროდ და კრებაზე, სხვათა შორის, მოიწვიოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ვ. რუდოლფი. კომისიას ამ საქმის განხორციელებაში თავის მხრივ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ანსტიტუტის პროფესორმა ა. ა. ბაიკოვმა, რომელიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფება.

◆ **საბირჟო ცნობები.** 15 იანვარს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფილ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5 პროც. ობლიგაციებისა—აფასებენ 85 მან. 60 კ., აძლევენ 85 მან., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა—აფასებენ 85 მან. 65 კ., აძლევენ 82 მ. 25 კ., ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა—აფასებენ 77 მან. 75 კ., აძლევენ 77 მ.

◆ **წალკიდან წყლის გამოყვანის თაობაზე** დღეს კრება იქმნება ქალაქის გამგეობის მიერ საგანგებოდ შედგენილ ბიუროს.

◆ **გენერალ-მაიორის ა. ი. ლაზარევის გვამი** გუშინ მიაბარეს მიწას ვანქის ეზოში, საგვარეულო აკლდამაში. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ 14 იანვარს, თელაველმა სოფიო ალექსანდრეს ასულმა კიკნაძემ (მკერავი ქალია), სულემა დალია. იგი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. გადარჩენის იმედი აქვთ. თავის მოწამვლის მიზეზი არ იციან.

◆ 14 იანვარს პოლიციის სხვა და სხვა უბანში 19 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ გუშინ ტფილისში სოხუმიდან ჩამოვიდა დეპუტაცია, რომელშიაც არიან: ქალაქის თავი თ-დი ალექსი შარვაშიძე და ორი ხმოსანი ანთიმოზ ჯუღელი და პრეობრაჟენსკი. დეპუტაცია წარუდგება მეფის მოადგილესა და სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და შუამდგომლობას აღძრავენ რომ ქ. სოხუმში გაიხსნას საოსტატო სემინარია. ინსტიტუტს თხოულობს ქალაქი სოხუმი, სემინარიას კი სოხუმში არსებული აფხაზთა განმანათლებელი საზოგადოება. მეფის მოადგილეს სთხოვენ აგრეთვე ზომები მიიღოს რამე ადგილობრივ ადმინისტრაციის უმოქმედობის გამო, რაიც ექიმის გატაცების დროს გამოიჩინა.

◆ **ილიას ძეგლის** კურთხევა განზრახულია მომავალ გაზაფხულისთვის. ძეგლი სრულიად დამთავრებულია, მაგრამ ესაჭიროება ზოგიერთ უბრალო ნაკლის შევსება. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას ძეგლი ჯერ არ ჩაუბარებია ინჟ. პეტრე მამრაძისაგან, რადგანაც უკანასკნელს გამგეობისათვის ოფიციალურად არა უცნობებია რა ძეგლის დასრულების თაობაზე.

◆ **რედაქტორის დაპატიმრება.** 14 იანვარს დააპატიმრეს „ზაკავკაზიე“-ს რედაქტორი ი. ი. რადიკე, რომელსაც სასამართლოსგან სამის დღის დაპატიმრება აქვს მისჯილი თავ. მაღალაშვილთან ნებადაურთველად დუელში გასვლისათვის.

◆ მცხეთის სამთავრო წმ. ნინოს საქალებო მონასტერში **მოძღვრად დაინიშნა** მღვდელი სამსონ ლეჟავა, რომელმაც შარშან უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტი გაათავა.

◆ 14 იანვარს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციამ ხორცის ნიხრის დარღვევისათვის ოქმები შეუდგინა ყასბებს ბალდასარ ბაღდასარიანცსა და სუტურას მეთერთმეტე უბანში.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება 14 იანვარს მოხდა. ხმ. ქობულაშვილმა აღნიშნა, რომ ყასბები მუშტარს ატყუებენ; იმის გარდა, რომ ხორცს ძვირად ჰყიდიან, გირვანქა ხორცზე ბევრს ნაჭრებს აწონიან. ხმ. კეილმა კი აღნიშნა, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს შეშის საწყობის პატრონებს, რომელნიც შეშას საჟენობით ჰყიდიან და მყიდველთ ზომაში ატყუებენ. გუშინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ქალაქის სავაჭრო სამეურნეო უფროს მეთვალყურეს, შეიმუშაოს ღონისძიებანი ყასაბთა და შეშის გამყიდველთა წინააღმდეგ.

სასწავლებლებში

◆ **სოფ. შრომის** (სიღნაღის მაზრა) სკოლაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მასწავლებლად დანიშნა იოსებ სამუელის ძე ჩხატარაიშვილი, რომელიც წინად გურიაში მასწავლებლობდა.

◆ **ტ. მ. ფილოიანის** საკომერციო კურსებზე პარალელური განყოფილება გაიხსნა.

◆ **განათლების კურსები.** 15 იანვრიდან მოქმედება დაიწყო საერთო განათლების მიმცემმა კურსებმა (ჩერქეზიშვილის ქუჩა, 29), რომელიც მოწყობილია სკოლის გარეშე განათლების საზოგადოების მიერ. კურსებზე სწავლა სწარმოებს საღამოს 6–9 საათამდე. კურსებზე იღებენ ორივე სქესის პირთ, არა ნაკლებ 16 წლისას. სწავლის ფული ნახევარ წელიწადში 2 მან. 50 კ.

ქუთაისი

◆ კვირას, 13 იანვარს, აუარებელი საზოგადოების თანდასწრებით **დაასაფლავეს** 8 იანვარს დაბა ყვირილაში მოკლული ბოქაულის თანაშემწე გ. სვანიძე. დასაფლავებას დაესწრნენ გენერალ-გუბერნატორი პოლიცმეისტერი, მაზრის უფროსი და პოლიციის მოხელენი. უკრავდა სამხედრო მუსიკა, უკან მიჰყვებოდა ნახევარი როტა ჯარი თავისი აფიცრებით. წესები რუსულად იქმნა შესრულებული.

◆ ქუთაისში ეს სამი დღეა **თბილა** თოვლი დადნა, ეზოები გაშრა. შეშა ძვირობს, ფუთი სიმინდი იყიდება ოთხ აბაზად, ფქვილი კი თვრამეტ შაურად. ღვინო იაფია.

◆ ქუთაისის ციხის საავადმყოფოში მწოლარე ავადმყოფებში 30 კაცი ქლექიანია.

◆ სამოსწავლო მთავრობას აზრად აქვს საოსტატო ინსტიტუტი ქუთაისის გუბერნიის იმ ქალაქში დაარსოს, რომელიც მთავრობას ინსტიტუტის დაარსებაში მეტ ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენს.

◆ ამ მოკლე დროს ქუთაისში მოხდება სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება. გამგეობა განიხილავს საკითხს შესახებ იმისა, თუ რა სახით მიიღოს მონაწილეობა ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეში და რით აღნიშნოს ზემო-აღნიშნული მსახიობის 30 წლის ღვაწლი ქართული სცენის წინაშე.

◆ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა საბჭოს ნება მიეცეს სტატისტიკური ბიუროს გამგის რედაქტორობით ბიულეტენების გამოცემისა. ბიულეტენების საერთო თვალყურის დევნება დაევალა საბჭოს თავმჯდომარეს.

◆ **აკაკის ნაწერების გამომცემელმა** ამ დღეებში ტფილისიდან დანამდვილებული ცნობები მიიღო, რომ იქაური საცენზურო კომიტეტი მალე ახსნის კონფისკაციას აკაკის ნაწერებს და წიგნი შეპირებისამებრ ხელის მომწერლებსაც დაურიგდებათ და გასასყიდადაც გამოვა. აგენტებს შეუძლიანთ განაგრძონ წიგნზე ხელის მოწერა.

აკაკი უკვე გამოვიდა პეტერბურგიდან.

◆ ზუგდიდის სამაზრო სატუსაღოდან ქუთაისის ციხეში ჩამოიყვანეს: ძუკუ აქირთავა, კოსტა ალშიბაია, ჩანთა კედია, აქვსენტი თოდუა და ანტონ შონია.

◆ ქუთაისში გადაითარგმნა ახალი პიესები: „დეპუტატის წარსულიდან“, და „იუდის ამბორი“.

◆ სამშაბათს, 15 იანვარს ქუთაისში შავი ქვის საბჭოს სადგომში შესდგება კრება ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეს მოსაწყობ კომიტეტისა.

◆ სენატმა დაამტკიცა ანტონ ბასილაიას, ალექსანდრე თოფურიას და ლუკა ბაკურიას საქმე. ამათ ტფილისის სამოსამართლო პალატის მიერ საგლეხო მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის ოთხ-ოთხი წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი.

◆ ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის გამგეობას, როგორც ს. კუხიდან გვაცნობებენ წლის შეუძენია გასასყიდად პასხალიდის ფირმის აბრეშუმის თესლი. („მერცხ.)

ბათომი

◆ 14 იანვარს, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში გამართეს ჩვეულებრივი „ქართული საღამო“. როგორც გადმოგვცეს საღამოს პროგრამა ძლიერ საინტერესოდ არის შედგენილი. სხვათა შორის საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: ცნობილი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი და მომღერალი ქალი ბ-ნი ბაშარინისა. დადგმული იქნება შ. დადიანის მიერ ცოცხალი სურათები „სადღეგრძელო“, გრ. ორბელიანისა.

(„მერცხ.“)

დეპეშა

(საკუთარ კორესპოდენ.)

მოსკოვი.

ქართულ კულტურის მოყვარეთა წრე ღრმეს მწუხარებას აცხადებს წრის წევრად ნამყოფ, მწერალ-მოღვაწე **შალვა ნათაძის** უდროოდ დაკარგვისა გამო და თავის მწუხარებას და თანაგრძნობას უზიარებს განსვენებულის მახლობელთ.

წრის ბიურო.

ბაქო

დადიანის საქმის გარჩევა 21 მარტისათვის გადაიდო.

ტფ. გუბ. თავ.-აზნ. წინამძღოლის და დეპუტატის არჩევნები.

კვირას, 13 იანვარს, დილის 11 საათზე დაიწყო ტფილისის გუბერ. თავად-აზნაურთა არჩევნები: პირველმა კენჭი იყარა თავ. **გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილმა.** მან მიიღო 135 თეთრი კენჭი და 152 შავი. გუბ. წინამძღოლის თანამ. აღმასრულებელმა **თავ. პ. ი. თუმანიშვილმა** კენჭის ყრაზე უარი განაცხადა.

ყუთი დაიდგა პოდპოლკოვნიკმა **კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზმა,** მიიღო 235 თეთრი და 47 შავი (**არჩეულია**).

კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს თვითონ თავ. აფხაზმა, თავ. ნ. ლ. მელიქიშვილმა, თავ. ა. ლ. მაღალაშვილმა და თავ. მ. ზ. ჭავჭავაძემ.

დუშეთის მაზრის **წინამძღოლობაზე** კენჭი იყარეს **თავ. გ. ა. ბაგრატიონ - მუხრანსკიმ,** რომელმაც მიიღო 25 თეთრი და 5 შავი (**ამორჩეულია**) და **ლ. რ. წინამძღვარიშვილმა.** წინამძღვარიშვილს ამოუვიდა 18 თეთრი კენჭი და 12 შავი.

გორის მაზრის **თავად-აზნაურთა დეპუტატობაზე** კენჭი იყარეს **ბ. ი. ხერხეულიძემ** (73 თეთრი, 42 შავი), თავ. გ. რ. ამირაჯიბმა (26 თეთრი და 85 შავი), თავ. ი. გ. თარხან-მოურავმა (50 თეთ.—63 შავი). ამორჩეული აღმოჩნდა **ბეჟან ივანეს ძე თავ. ხერხეულიძე.**

არჩევნების გათავების შემდეგ აფხაზმა სამადლობელი სიტყვით მიჰმართა კრებას.

ამნისტია.

სატახტო გაზეთებში ბევრსა სწერენ მოსალოდნელ ამნისტიის თაობაზე, რომელიც განზრახულია რომანოვთა საგვარეულოს მეფობის სამასი წლის შესრულების გამო. გაზ. „როსია“-სა, „რუს. ვედ.“ და „რუს. სლოვო“-ში შემდეგი ცნობებია მოთავსებული:

„საიუბილეო კომიტეტმა ბულიგინის თავმჯდომარეობით ითათბირა სადღესასწაულო გეგმის თაობაზე და გადასწყვიტა, რომ ეს საქმე დაწვრილებით მინისტრთა საბჭომ განიხილოს.

კომისიის აზრით მომავალი ამნისტია, რომელიც 21 თებერვალს გამოცხადდება, არ შეეხება ყაჩაღებს, მძარცველებს, ამწიოკებელ - გადამწველთ და მათგვარს.

ხოლო სალიტერატურო საქმის გამო პასუხის გებაში მიცემულთ კი შეეხება ამნისტია, როგორც უკვე გასამართლებულთ, ისე პასუხის გებაში მყოფთ.

ამასთანავე წვრილმან პოლიტიკურს საქმეებსაც მოსპობენ, ხოლო თვალსაჩინო საპოლიტიკო საქმეებიდან შესაძლებელია შიგა და შიგ ამოარჩიონ რამდენიმე საქმე და გააუქმონ; ზოგს სასჯელს შეუმცირებენ.

კომისიის აზრით ამნისტია არ შეეხება ტერორისტებს.

იმ ადმინისტრატიულად დასჯილთაც შეეხება ამნისტია, რომელნიც ტერორისტულ აქტებში მონაწილეთ არ ირიცხებიან.

სხვა ადმინისტრატიულად დასჯილთ კი სრულებით ეპატიებათ სასჯელი.

აგრეთვე ეპატიებათ ადმინისტრატიული სასჯელი მოსწავლეებს და უფლება მიეცემათ სწავლა განაგრძონ.

გარდა ამისა „რეჩში“ მოთავსებულია შემდეგი ცნობები: მინისტრთა საბჭოს კრებაზე, შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. ა. მაკლაკოვმა განაცხადა: ბეჭვდითი საქმეში ჩადენილ დანაშაულების გამო სასჯელთა სრული გაუქმება შესაფერი ნება მომავალ იუბილესათვის. უმეტეს, რომ ზოგმა დანაშაუ უკვე დაჰკარგა თავის პირვანდე სიმწვავე და განზრახულიც არ ბეჭვდითი საქმის ახალ კანონმდებლობის შემოღება. ამის გამო სასურველია ძველ კანონის შეცვლასთან ძველი დანაშაულებანიც გაუქმებულ იყოსო.

იუსტიციის მინისტრის აზრით, სისხლის სამართლის დებულებათა ძალით ზოგიერთ დასჯილთა სასჯელის ვადაც შეიძლება შემცირდეს 2/3-ით. თუმცა სიფრთხილეა საჭირო, რომ პატიება ისეთ დამნაშავეთ არ ერგოთ, რომელნიც განთავისუფლების მერ ხულიგანთა რაზმებს შეავსებენ, გა საკუთრებით სოფლად.

დაწვრილებითი შემუშავება ს ნისტრო საქმეთა მინისტრთა საბ დაავალა იუსტიციის მინისტრს.

ყაჩაღების დახოცვა.

დეპეშათა სააგენტოს ცნობით 12 იანვარს მოსპეს ყაჩაღთა ბრბო „გოგია“ და „ლეკისა“, რომელიც წელიწადი დათარეშობდა მთელ კახეთში.

12 იანვარს, შუადღის 2—საათზ, თელავისა და თიონეთის მაზრის საზღვარზე, მაჭარეულის ხეობაში, თიონეთის მაზრის საპოლიციო ქვეითა რაზმმა „გოგია“ და „ლეკის“ ყაჩაღთა ბრბო შეამჩნია. რაზმს ორი საათის განმავლობაში ფიცხელი ბრძოლა ჰქონდა ყაჩაღებთან. ყაჩაღები ყველანი დახოცეს.

მოკლული აღმოჩნდა: „გოგია“ კენკიშვილი, ხარება ჯიბუტი, ილია ბებურიშვილი, მიხეილ ბუზალაძე და ოთხი კიდევ სხვა უცნობი.

ყაჩაღებს აღმოაჩნდათ: ექვსი „ვინტოვკა“, სამი მაუზერის თოფი, 8 რევოლვერი. 1,668 პატრონა და სხვა და სხვა ნივთები.

ექსპროპრიატორების შეპყრობა

ათ იანვარს ტფილისში შეიპყრეს ექსპროპრიატორები სიმონ არშაკას ძე ტერ-პეტროსიანი („კამო“) და გრიგოლ ოსეფას ძე მათიაშვილი („გიგო“) რომელთაც მრავალი დანაშაული ბრალდებათ.

ამ თავ-ზარ დამცემ ექსპროპრიატორთა შეპყრობის ამბავი შემდეგია:

როგორც მკითხველებმა იციან, 1912 წლის 24 სექტემბერს ვიღაც უცნობნი კოჯრის გზაზე თავს დაესხნენ ფოსტას, სამი ჩაფარი და მეეტლე მოჰკლეს ყუმბარებითა და დანარჩენები დასჭრეს. უცნობებმა დამალვა მოასწრეს. როგორც ეტყობოდა, თავდამცემთა რიცხვი 8 უნდა ყოფილიყო.

ტფ. პოლიცია პოლიცმეისტრის გენერალ-მაიორის ზასიპკინის განკარგულებით მხნედ შეუდგა თავდამცემთა მოძებნას. პირველ დღესვე მაძებარ პოლიციის უფროსმა საიდუმლო ცნობა მიიღო: თავდამცემთა მეთაურად იყო ვინმე „გიგო“, ყუმბარების ცნობილი მსროლელი და ტერორისტი, რომელსაც მრავალი ექსპროპრიაცია აქვს ჩადენილი ჯერ ამიერ-კავკასიაში და შემდეგ სპარსეთში, საიდანაც ტფილისში ჩამოვიდა კოჯრის გზაზე თავდაცემის 3—4 დღის წინადამ.

ამის შემდეგ პოლიციამ კიდევ შემდეგი ცნობები მიიღო: თავდამცემთან კავშირი აქვს ერთს ქალს და ერთს ახალგაზრდა კაცსო, ფოსტის ერთ-ერთს მოხელეს, ვინმე „კამოს“ და „მარტიროსას“.

ნიშნებით პოლიციამ მართლაც მიაგნო აღნიშნულ ქალს და მისი ბინაც გაიგო (საპიორის ქუჩა, № 14), სადაც იდგა მარიამ მაისურაძის სახელით. მასთან ერთად სცხოვრობდა ახალგაზრდა კაცი ტიგრან ვართანოვის სახელით. შემდეგში გამოირკვა, რომ ქალის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ ექსპროპრიატორები: გიგო (რომელიც შემდეგში აღმოჩნდა გრიგოლ მათიაშვილი), უცნობი პლაშჩით (რომელიც აღმოჩნდა მარტიროს ლოლაძე), ფოსტის მოხელე (ბაღდასარ საფაროვი) და „კამო“ (სიმონ ტერ-პეტროსიანი).

პოლიციისთვის ცხადი შეიქნა, რომ კამო იყო ის ტერ-პეტროსიანი, რომელიც შარშან საგიჟეთიდან გაიქცა და რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი ერევნის მოედანზე სხვებთან ერთად თავდაცემისა და ფულ გატაცებისთვის.

უკანასკნელ ხანში პოლიცი აგენტებმა შენიშნეს, რომ გიგო კამო და ორი სხვა ხშირ-ხშირად უ ლიდნენ გარს სატელეფონო კ ტორას და შესასვლელ და გამო ვლელ კარებებს სწავლობდნე იანვრიდან მათ სატელეფონო კ ტორასთან სიარული სრულიად შე წყვიტეს, რადგანაც შეაფიქრიანა ი გარემოებამ, რომ იმ ადგილას პოლიციელთა რიცხვი გააძლიერეს. გიგო და კამო სრულიად აღარ სჩანდნენ. ისინი პოლიციელებმა შენიშნეს მხოლოდ და 10 იანვარს, საღამოს 7 საათზე, „სევერნი ნომრების“ წინ ორივენი შეიპყრეს. ამის შემდეგ პოლიციამ სხვა და სხვა ადგილას შეიპყრო 16-დე მათი ამხანაგი.

შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენა ტფილისში

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, მომავალ მარტის ნახევრიდა პეტერბურგში გაიმართება სრულიი რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენა, რომანოვების საგვარეულო 300 წლის მეფობის აღსანიშნავად.

ამ გამოფენაზე დიდ მონაწილეობას იღებს კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტი, რომელმაც შარშან ზაფხულშივე დაარსა ადგილობრივი კომიტეტები და დაავალა ადგილობრივ შინამრეწველობის ნიმუშების შეკრება.

ამ კომიტეტებმა მთელს კავკასიაში შეაგროვეს ნიმუშები და წარმოადგინეს ტფილისში.

14 იანვარს ამ ნიმუშების (ექსპერტები) გამოფენა იყო კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის სადგომში.

კომიტეტის საპატიო თავმჯდომარემ, მეფის მოადგილის თანაშემწე

ვატაცამ, მიიწვია, როგორც კომიტეტის წევრები, ისე სხვა დაწესებულებათა, პრესისა და სხვა წარმომადგენელნი. მან მოკლე სიტყვით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა ექნება მომავალ გამოფენას კავკასიის შინამრეწველობისათვის: მთავრობა იმედოვნებს, რომ გამოფენაზე კავკასიიდან წარდგენილი ნიმუშები უპირველეს ადგილს დაიჭერსო. თქვენ, ბ-ნო წევრნო, პრესის წარმომადგენელნო და მხატვარნო, დღეს უნდა შეამოწმოთ ეს ნიმუშები და იმედია ჯეროვან დახმარებას გაგვიწევთ ამ საქმეში, რომ რიგიანის ექსპერტების წარდგენით გავამართლოთ მიწათმოქმედების სამინისტროს მოლოდინიო.

შემდეგ ექსპონანტების დათვალიერებას შეუდგნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგი ექსპონანტები: 1) კერამიკის (თიხის ჭურჭლეულის) განყოფილება დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან წარმოდგენილი. 2) იმერულ შალებისა და აბრეშუმეულის ქსოვილები. 3) მეგრულ ნაბდების და მეგრულ-სვანურ ნაბდის ქუდები; 4) რკინეული ნაწარმოები თერგის ოლქისა; 5) ხის ნაწარმოებნი აჭარაგურიისა; 6) გიშრის ნაწარმოები იმერული: 7) ჩოხების და ფარდაგების აუარებელი კოლექცია ყუბისა, დაღესტნისა, ერევნისა და ტფილისის გუბერნიისა. ამ ექსპონანტებმა ალტაცებაში მოიყვანა მხატვრები და სხვანი; 8) იმერეთისა და აჭარა-ართვინიდან წარმოდგენილი სიმინდის ფუჩეჩიდან დამზადებული კალათები, ქილობები და პატარ-პატარა ფეხთ-საფენები.

ექსპონანტების მიღება გრძელდება, რადგანაც სოხუმის ოლქისა და იმერეთის ზოგიერთ კუთხიდან ჯერ არ მიუღიათ ნაწარმოებნი: დანები, გიშრეულობა, შალეულობა, აბრეშუმის ქსოვილები, ჭურჭლეული და სხვ.

დამსწრეთ საერთოდ მოიწონეს გამოფენილი ექსპონანტები და დაადგინეს გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ.

მომავალ სრულიად რუსეთის შინა-მრეწველობის ამბავს მკითხველებს თავის დროზე მივაწვდით.

აკაკი და რუსული პრესა.

„საქართველოს დაუგვირგვინებელი მეფე“ მოსკოვში*).

(აკაკი წერეთლის მოსკოვში მისვლის გამო)

გუშინ პეტერბურგიდან მოვიდა მხცოვანი ქართველი მგოსანი აკაკი რ. წერეთელი, რომლის 50 წ. იუბილე ამ ახლო ხანში გადაიხადა ქართველმა ხალხმა. პატივცემული მგოსანი მოსკოვში მოვიდა მოსკოველ ქართველ სტუდენტთა საგანგებო მოწვევის გამო. აკაკი წერეთელმა ქართველ ხალხის საერთო სიყვარული დაიმსახურა, და ამიტომაც ხალხმა იგი მონათლა „საქართველოს დაუგვირგვინებელ მეფედ“.

სადგურზე თავშიშველნი და გულწრფელის სიხარულით მიეგებნენ. აკაკი წერეთელს დიდი შეხედულება აქვს. იგი ტკბილად და სათნოიანად იღიმება, ხელს ართმევს, ჰკოცნის სიყმაწვილის ნაცნობთ. ვილაცა მისალმა სიტყვით, წერეთელი მადლობას უხდის და ავტომობილით მიეშურება ქალაქში.

„სასტუმრო „ლიუქსი“-ში ჩამოხტა მგოსანი; დაიწყო დენა ქართველ ახალგაზრდობამ, რამაც შუაღამემდე გასტანა. ინახულეს მხცოვანი პოეტი მოსკოველ ქართველთა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა: თავ. ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინმა, სამხატვრო თეატრის რეჟისორმა კ. ა. მარჯანიშვილმა, ინჟ. თულაშვილმა, პრივატ-დოცენტმა ჯავახიშვილმა და სხვებმა.

მოხუცი პოეტი, მიუხედავად 73 წლის ხნოვანებისა, მთელი დღე მხნედ ჰგრძნობდა თავს, თავაზიანად იღებდა მნახველებს, მოსწრებულად ხუმრობდა. მოსკოველთა მიღებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, ასე რომ ხშირად იმეორებდა.

— ასე მგონია, თითქოს ვიმყოფებოდე მშობელ საქართველოში, სადმე ქუთაისში ან საჩხერეშიო (დაბა, საცა პოეტი დაიბადა).

მგოსანს თან ახლდა თვისი შვილი ა. ა. წერეთელი.

ქართველი სტუდენტობა და ქართველთა მოსახლეობა აკაკის პატივსაცემლად საგანგებო ბანკეტის გამართვას აპირებს. („უტრო როსია“)

---

*) ამ სათაურით დაბეჭდილია ეს წერილი „უტრო როსიის“ მე-8 ნომერში.

ხმა ფოთიდან

„აქ მონობა ჭკუა არის,
ორპირობა სიბრძნე დიდი,
და მას რჩება მოედანი,
ვინც კი არის მეტად ფლიდი“
აკაკი

პოეტის ეს შესანიშნავი სიტყვები ზედ გამოჭრილია ჩვენს ფოთზე.

ჩვენი სამშობლოს არც ერთი კუთხე არ არის ისე დაწვრილმანებული, უიდეალო და გაპორიკანებული, როგორც ფაზისის გაშენებული მხარეგანიკობურგებული ფოთი.

ფოთს თავისი საკუთარი მორალი აქვს, რომელიც „ფოთელი სეპარატისტებისაგან“ არის შემუშავებული. „ფოთელი სეპარატისტობის“ ისტორია თხუთმეტ წელს აღემატება. მისი მამამთავარი, შემქნელ-მაცოცხლებელი ბ-ნი ნ. ნიკოლაძეა, რომელმაც ისეთი პროგრამა შეადგინა ფოთის წინ წასაწევად, რომლის განხორციელება ქ. ფოთის ინტერესებს რამეში დიამეტრალურად უპირდაპირებს მთელ საქართველოს, ან ზოგი ერთ მისი კუთხის ინტერესებს.

ამ გარემოებამ ვიწრო ფარგლით შემოხაზა ფოთი და მისი ბედნიერება მეზობლის უბედურებაზე ააშენა, შეჰქმნა მცხოვრებთა ფართე მასსაში ვიწრო, პროვინციალური ფსიხოლოგია, დააშორა იგი ჩვენს საერთო იდეალებს და შეაცურა ზნეობრივ დაცინვების მორევში. — „ყოველივე ფოთისთვის, ფოთი-კი ჩვენი კუჭისთვის“,—აი ფოთელი „ობივატელის“ დევიზი, აი მისი ამოძახილი. ფოთის გარეშე იმისთვის ალარავითარი იდეალი, ალარავითარი პრინციპი არ არსებობს. ასეთია ფოთელი სეპარატისტების ბრწყინვალე ვარსკვლავთა პალატის ფილოსოფია და, ვაი იმას, ვინც ამ პალატის აზრს არ იზიარებს, მისგან ნათელს არ იღებს, მირონს არ იცხებს; ის იმ წუთშივე ფოთს უნდა გამოეთხოვოს, გაიქცეს, თავს უშველოს, თორემ საშიში ბედი მოელის. მეზობელი აუხირდება, ბრბო მოლალატედ გამოაცხადებს, ქვასა და ლოდს მიაყრის. არა ერთი და ორი ზვარაკი შეწირულა ამ სამსხვერპლოზე, არა ერთი და ორი პატიოსანი მუშაკი გაჰქცევია ფოთს ამის გამო.

ერთი ამ გვარი სამარცხვინო საქმე ფოთში 19 დეკემბერს მოხდა. 17 ხმით წინააღმდეგ თექვსმეტისა გააშავეს პატიოსანი, მშრომელი, ამრჩეველთა იშვიათი ერთგული, ქალაქის საქმეების კარგი მცოდნე ბ-ნი ი. მეუნარგია. ეს ისეთი სიმპტომატიური მოვლენაა, რომ გაზეთების ფურცლებზე მისი გაშუქება და ისტორიაში ამ ფაქტის ჩაწერა მთელი თავისი სინამდვილით აუცილებლად საჭიროა.

მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს ბ-ნს მეუნარგიას გაუთავდა საარჩევნო ვადა და ამავე თვის ცხრას მან, როგორც ქალაქის თავის მაგიერმა და გამგეობის ერთად ერთმა წარმომადგენელმა, დანიშნა თავის არჩევანი. როგორც კი ეს გაიგეს ფოთელმა „სეპარატისტებმა“, რომელთა უყურადღებობა მეუნარგიას იმ თავიდან დასჩემდა, ასტეხეს გამოუთქმელი განგაში. ბ-ნ ნიკოლაძის რისხვამ კოშკიდან ქუჩებში გადმოხეთქა და იქ ჯადოსნურად დაერია ხმოსნებს. ხმოსანმა გ. საბახტარიშვილმა 9 ოქტომბრის სხდომის წინ გამართულ კერძო თათბირზე, რომელსაც კანდიდატი უნდა დაესახელებინა, განაცხადა: ბ-მა ნიკოლაძემ მითხრა, მეუნარგია ყოველივე საქმეში ხელს მიშლის და თუ თქვენ იმას აირჩევთ, მე იმ წუთში აქედან უნდა წავიდეო. ამ განცხადებამ ხმოსნებს შიშის ზარი დასცა, ერთბაშად შეუცვალა სულიერი სიმშვიდე. მორთეს წუწუნი; ხმები გაიყო ორ ნაწილად: ერთნი (2 ხმა) ამტკიცებდა, ი. მეუნარგია აუცილებლად ამავე ღამეს ავირჩიოთო, მეორენი (17 ხმა) გადადების მომხრე იყო. მოტივად ამ უკანასკნელთ ის მოჰყავდათ, რომ საჭიროა ნიკოლაძისა და მეუნარგიას შერიგებაო. ამ კერძო თათბირმა დაიბარა ბ-ნი მეუნარგია და ხმოსანი სოლომონ ჰოჭუას პირით მოახსენა: მართალია არჩევნებს ვსდებთ, მაგრამ თქვენს გაშავებას მაინც როგორ ვიკადრებთო. კრებას იმიტომა ვსდებთ, რომ გვსურს ბ-ნი ნიკოლაძეც დავითანხმოთ ამ საქმეშიო. მეუნარგიამ უპასუხა: ჩემი ვალი იყო არჩევნების დანიშვნა, გადადება კი საბჭოს საქმეაო. ამ ნაირად პირველად არჩევნები გადაიდო. მართალია კრება გადაიდო, მაგრამ ნიკოლაძე და მეუნარგია არამც თუ არ მორიგდნენ, პირიქით, დამოკიდებულება მათ შორის უფრო გამწვავდა.

ნიკოლაძე ბრაზობდა: როგორ არ მკითხა მეუნარგიამ თავის არჩევის საქმეო. მეუნარგია ამბობდა:—7 ოქტომბერს ვადა გამითავდა, 9-სათვის არჩევნები დავნიშნე და ხმოსნებს უწყებებით შევატყობინე ორი დღით ადრე. სხვა ჩემთვის სავალდებულო არ იყოო. მეუნარგიას მდგომარეობა დღითი დღე გაუარესდა. ამოძრავდა ბრწყინვალე ვარსკვლავთა პალატა, ამუშავდა ნიკოლაძის მიერ აწყობილი ფოთელ სეპარატისტთა „გრამოფონი“. დაიწყო ქუჩებში თუ სახლებში აგიტაცია მეუნარგიას წინააღმდეგ. ყოველ დღე ათასნაირი ხმები გამოდიოდა ნიკოლაძის კოშკიდან.

რას აბრალებდნენ მეუნარგიას? ფოთში შავი ჭირისა და ხოლერის მოტანას, ქალაქის კასსის დაცარიელებას, ზდანოვიჩსა და კიტა აბაშიძესთან ბლოკს, ნახევარ კაპეიკიან საფუთო გადასახადის წინააღმდეგობას, ნიკოლაძის პროექტების სასტიკ წინააღმდეგობას, ადგილობრივ პორტის უფროსს, პეტროვთან, ჩუმ დამოკიდებულებას, ნიკოლაძის სამართალში მიცემას, ქუჩების მოუკირწყლავ-გაუნათებლობას და მრავალ სხვა ბოროტებას. რასაკვირველია ყველა ეს დირექტივები ბრწყინვალე პალატაში ითხზებოდა, სამოქმედო გეგმა იქ მუშავდებოდა, ეს შმორის სუნი იქიდან მოდიოდა, მაგრამ ნიკოლაძისაგან გადაჭრილი პასუხი ვერავინ გამოიტანა; ის ჩვეულებრივად ძველებურად ნიკოლაძისებურად ორ ფრონტზე იდგა: მეუნარგიას მომხრეებთან კატეგორიულად უარჰყოფდა ამ ბრალდებას, თავისიანებში კი ენერგიულად განაგრძობდა საწინააღმდეგო აგიტაციას. ამ დროს ნიკოლაძემ თავისი ძალა კიდევ არ იცოდა. ის, ასე ვსთქვათ, ძალთა მობილიზაციას ეწეოდა. გაიმართა ხმოსანთა კერძო თათბირი, რომელზედაც მოიწვიეს ნიკოლაძე და მეუნარგიაც. აქ ნიკოლაძემ ჩვეულებრივად იეშმაკა. ბრძოლა თითქოს პრინციპიალურ ნიადაგზე გადაიტანა და განაცხადა:—პირადად მე და იონა დღესაც კარგი მეგობრები ვართ(?) მხოლოდ არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ ჩემსა და მისს სამოქმედო პროგრამაში არ იყოს განსხვავება. იონას ლიუეინია: ეკონომიურად იცხოვრე, საბნის სიგრძით გაჭიმე ფეხიო, ჰყვირის, ქალაქი ღარიბია, დაიქცევაო. ამაების ლაპარაკი და გამჟღავნება არ ვარგა, მართლაც დალუპავს ქალაქს. იგი ჩემს პროექტებს დასცინის, ეწინააღმდეგებაო და სხ... მეუნარგიამ უპასუხა: დიაღ, მე, როგორც ქალაქის კასსის მეთვალყურე, მისი გასაჭირის მცოდნე, ვითხოვ გასავალი შემოსავალს ეფარდებოდეს, მაგრამ ეს რა წინააღმდეგობაა? მე ჩემსას ვიტყვი, შენ შენსას—საბჭო მოისმენს და გადასწყვეტს; მე კი მისი გადაწყვეტილების მუდამ მორჩილი ვარ და ვერ დამისახელებთ ვერც ერთ შემთხვევას, რომ საბჭოს არ დავმორჩილებოდე, ან შენს საქმეს წინ გადავღობებოდე. ან რა საჭიროა ეხლა ამაებზე ლაპარაკი, ხმოსნები ჰხედავენ ჩემს ვინაობას, მიუშვი ნებაზე და თავის სურვილს კენჭით გამოჰხატავენო.

(შემდეგი იქნება)

ფოთელი.

ოსმალეთის ფლოტის დამარცხება

ბალკანეთის ომში ოსმალეთის ფლოტს მაინცა და მაინც დიდი დახმარება არ გაუწევია სამშობლოსთვის, თუმცა იგი რომ ღირსეულად ყოფილიყო მოწყობილი მისი აქტიური მოქმედება სულ სხვანაირად წარმართავდა ომის მსვლელობას. საქმე ისაა, რომ თუმცა ოსმალეთის ფლოტი რიცხვით გაცილებით სჯარბობს საბერძნეთისას, მაგრამ თვისებით ე. ი. შეიარაღებითა და სიჩქარით, დიდად ჩამოუვარდება ამ უკანასკნელს. უმეტესი ნაწილი ოსმალეთის სამხედრო გემებისა უკვე დაძველებული და მცირე რიცხოვან, სუსტი ზარბაზნებითაა შეიარაღებული, მათი კონსტრუქცია იმდენად ძველია, რომ, მაგ., როდესაც ამ ერთი თვის წინად ჯავშნოსანთა რაზმი მარმარილოს ზღვიდან დახმარებას უწევდა ჩათალჯის სიმაგრეებზე ხმელეთის ჯარს, ჯავშნოსან „ამიდიეს“ საკუთარ ზარბაზნების სროლით ცხვირის ჯავშანი სრულიად შემოასკდა შერყევისაგან. ამიტომ ოსმალეთის ფლოტი ნაპირებს ვერ სცილდებოდა და მუდამ სანაპიროების სიმაგრეთა მფარველობით დასცურავდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში. საბერძნეთის ფლოტი თუმცა მცირე რიცხოვანია, მაგრამ დროის შესაფერად მოწყობილი და შეიარაღებული. მხოლოდ ერთ ჯავშნოსანს „ავეროვს“ შეუძლია ოსმალეთის მთელი ფლოტის გამოკლავება. საბერძნეთის ფლოტის უფროსმა ადმირ. კუნდურიოტისმა კარგად იცოდა მტრის ფლოტის სისუსტე და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რამენაირად ღია ზღვაზე გაეტყუებინა იგი, რათა ერთის დაკვრით ბოლო მოეღო მისთვის. ამ გვარ ტაქტიკას მოითხოვდა ომის მერმინდელი მსვლელობა. მოგეხსენებათ, რომ მოკავშირეებს, საბერძნეთს გარდა სამხედრო ფლოტი არ აქვთ, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ ბულგარეთის ექვსიოდე ძველ ნაღმოსანს, რომელთა მნიშვნელობაც სანაპიროების დაცვით განისაზღვრება. ასე რომ ოსმალეთს შეეძლო თვისი ფლოტის დახმარებით ბულგარეთის სანაპიროებზე შავი ზღვიდან ჯარი გადაესხა და ბულგარეთის ჯარს რუმელიის საომარ ასპარეზზე ზურგიდან მოჰქცეოდა. რასაკვირველია, დღეს ვიცით, რომ ოსმალეთის სტრატეგებმა განზრახულების ასრულება ვერ მოახერხეს, თუმცა რამდენჯერმე სცადეს კიდეც. გარდა ამისა, სანამ ოსმალეთის ფლოტი თავისუფლად დასცურავდა მარმარილოსა და ეგეის ზღვაში საბერძნეთის სანაპიროები და ტრანსპორტები ვერ იყვნენ უზრუნველყოფილნი მოულოდნელ თავდასხმისაგან. ასეთ მდგომარეობაში საბერძნეთის ფლოტი იძულებული იყო აქტიურ მოქმედებაზე ხელი აეღო და მუდამ გაფაციცებით ედევნებინა თვალი თვისი კუნძულებისა და ტრანსპორტების დაცვისათვის. ასეთი მდგომარეობა იყო სწორედ რუსეთ-იაპონიის ომის დროსაც, როდესაც ადმირ. კამიმურას ესკადრა განუწყვეტლად უდარაჯებდა ვლადივოსტოკის კრეისერთა რაზმს, რომელიც მშვენიერად სარგებლობდა ნისლითა და უამინდობით და მოულოდნელად თავს ესხმოდა კუნძ. იედოს სანაპიროებს. ამიტომ საბერძნეთის ფლოტის უფროსმა იაპონიის სახელგანთქმულ ადმირალის ტოგოს ტაქტიკას მიჰმართა: თვისი ფლოტის მთავარი ნაწილი, სახელდობრ—ორი კრეისერი და 7 ნაღმოსანი მოშორებით დამალა ეგეის ზღვაში, ხოლო დარდანელის სრუტის სადარაჯოდ კუნძ. თენედოსთან ჯავშნოსანი „ავეროვი“ და 4 ნაღმოსანი დააყენა, რომელთაც ოსმალთა ფლოტის გამოჩენისათანავე რადიო-ტელეგრაფით უნდა ეცნობებინა მთავარი ძალისთვის და მის მოსვლამდე დაუყოვნებლად გაემართა ბრძოლა, რათა ამით შეეყოლიებინა მტრის ფლოტი. დიდხანს დასჭირდა ადმირ. კუნდურიოტისს ოსმალთა ფლოტის ლოდინი, რადგან მტრის გემები სრუტეებს არ სცილდებოდნენ და თუ გამოვიდოდნენ, სანაპიროების არტილერიის ფარგალში დასცურავდნენ, რაც მეტად აძნელებდა მათ ჰიდგომას. ბოლოს, როგორც იქნა, აუსრულდა მოლოდინი საბერძნეთის ფლოტის უფროსს. ნათლიღების ღამეს, მტერმა ისარგებლა ნისლიანი უამინდობით და კრეისერი „ჰამიდიე“ კონტრ-ნაღმოსანის თანხლებით გამოვიდა სრუტიდან. ამ რაზმს განზრახული ჰქონდა კუნძ. თენედოსსა და მავრიკიოს შორის მდებარე ადგილების დაზვერვა, რათა ამით ნიადაგი შეემზადებინა მთელი ფლოტის გამოსასვლელად მეორე დღეს. მართლაც, დილით ოსმალეთის მთელი ფლოტი, რომელშიაც შედიოდა 4 ჯავშნოსანი და 13 ნაღმოსანი, ზანტად გამოცურდა დარდანელის სრუტიდან კუნძ. იმბროხისაკენ და, თენედოსიდან ოცი მილის მანძილზე, ჩრდილო-დასავლეთით გაემართა. საბერძნეთის ფლოტი მთელი შემადგენლობით (5 ჯავშნოსანი და 8 ნაღმოსანი) მიეგება მას და დილის 11 საათსა და 20 წუთზე დაიწყო ბრძოლა, რომელმაც სამ საათს გასტანა. ოსმალეთის ფლოტი ვერ ახერხებდა თავისუფლად მიხვრა-მოხვრას, რისგამოც მხოლოდ ცხვირის ზარბაზნები ისროდნენ კარგად. ადმირ. კუნდურიოტისმა შეამჩნია ეს და ორად გაჰყო თვისი ესკადრა. ერთ ნაწილს ჯავშნოსან „ავეროვის“ მეთაურობით გზა უნდა მოეჭრა მტრისათვის, ხოლო მეორეს ბრძოლით უნდა შეეყოლიებინა იგი. მაგრამ ოსმალთა ფლოტის უფროსი მიუხვდა განზრახვას და მყის უკან დახევის ბრძანება გასცა. ნაშუადღევის პირველ საათზე ოსმალნი უკვე უთავბოლოდ ილტვოდნენ სრუტეებისკენ და მხოლოდ დრო გამოშვებით უპასუხებდნენ ბერძენთა გემებს, რომელნიც გაფიცხებით მისდევდნენ კვალ და კვალ. ნაშუადღევის ორ საათზე ბრძოლა ოსმალთა დამარცხებით გათავდა: ჯავშნოსნები „ბარბაროსა“ და „თურღუთრეისი“ დიდად დაზარალდნენ; მარცხნით გადახრილნი, იგინი ძლივს შევიდნენ სრუტეში. ერთი კრეისერი სრულიად გაჩუმდა, რადგან მთელი არტილერია ბერძენთა ყუმბარებმა დაუმსხვრია. ჯავშნოსნები: „ჰამიდიე“ და „მეჯიდიე“ მოსწყდნენ ესკადრას და უგზო-უკვლოდ გაიქცნენ. უკანასკნელ ცნობებით პირველი პორტსაიდის ნავთსადგურიდან (სუეცის არხში) გამოვიდა ამ დღეებში და უცნობი მიმართულება მიიღო, ხოლო მეორე ალექსანდრიის (აფრიკის სანაპიროზეა) ნავთსადგურში აპირებდა დამალვას, მაგრამ მიუსწრეს საბერძნესის გემებმა და ტყვედ ჩაიგდეს. ასე დასრულდა 6 იანვრის საზღვაო ბრძოლა, რომელმაც ბოლო მოუღო ოსმალეთის ისედაც უძლურ ფლოტს. ეგეის ზღვის სრული ბატონი დღეს საბერძნეთის ფლოტია, რომელიც, თუ ომი განახლდა, ჯეროვანად ისარგებლებს თვისი უპირატესობით და იმით აღარ დაკმაყოფილდება, რაც აქამდე დაიპყრო. მეორე მხრით კი ოსმალეთის საზღვაო დამარცხება გავლენას იქონიებს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე და დათმობის გზაზე დადგომას აიძულებს სტამბოლის დიპლომატებს.

კოლხი.

სხვა და სხვა ამბავი

ქალთა საერთაშორისო დღე.

პეტერბურგის საფეიქრო ქარხნებში რამდენიმე სხდომა მოხდა, საცა დაადგინეს მონაწილეობა მიიღონ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულში, რომელსაც აწყობს ქალთა სოციალისტური ბიურო. გ დაწყვეტილია აგრეძვე, ამ დღეს[illegible] [illegible]ზონ მასალა, რის მუშ[illegible] მარეობისა.

პროფესიონალურ კავშირების დევნა.

პოლიცია ცნობებსა ჰკრეფს ლითონის მუშათა პროფესიანულ გაუქმებულ საზოგადოების მოქმედების თაობაზე; ეს მასალა წარედგინება შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოციალ-დემ. ფრაქციის შეკითხვაზე პასუხის მისაცემად.

ამნისტია.

პროგრესისტთა ფრაქციამ გადასწყვიტა სათათბიროში ამნისტიის საკითხი აღძრას. ამისთვის პროგრესისტები მოლაპარაკებას გამართავენ სხვა ფრაქციებთან და შეიტანენ მორიგ საკითხზე გადასასვლელ ფორმულას.

შრომის ჯგუფელები და სოც.-დემ. შეიტანენ სათათბიროში შეკითხვას, შესახებ კუტომარის კატორღისა და კატორღელთა მდგომარეობისა. ამასთანავე აღძრავენ სათათბიროში ამნისტიის საკითხს.

ებრაელთა განდევნა.

1 იანვრიდან 1913 წლ. შევიდა ძალაში ახალი წესები ებრაელ ვაჭართა სარეგისტრაციო დავთრების შემოღებისა. „რუსკაია მოლვის“ სიტყვით დაიწყო ებრაელთა დევნა პეტერბურგიდან. ჯერ კიდევ ახალ წლის წინა ღამეს სახლის პატრონებმა და მეეზოვეებმა შეატყობინეს ებრაელ მდგმურებს, რომ გაეთავისუფლებინათ ბინები შუაღამემდე. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა წარედგინათ, სარეგისტრაციო წიგნაკი. ამისთანა არავის მოეპოვებოდა. ამ დროს განმავლობაში ბევრი ებრაელი განდევნეს პეტერბურგიდან.

არეულობა ოსმალეთში

სტამბოლში მომხდარ არეულობის დაწვრილებითი ცნობები: ნაშუადღევის სამ საათზე სასახლეში მინისტრები საუზმობდნენ. 3½ საათზე პორტას პირდაპირ, მოედანზე გამოჩნდა ცხენზე ენვერ-ბეი რამდენიმე შეიარაღებულ ოფიცრებით და ხალხით, რომელთა შორის მოლებიც იყვნენ. ხალხს დროშა მოჰქონდა და ჰყვიროდა: „არ გვინდა სამარცხვინო ზავი! გაუმარჯოს ომს!“ სამ დარაჯში, რომელნიც პორტას იცავდნენ, მხოლოდ ერთმა გაუწია ურჩობა. ენვერ-ბეი ოფიცერთა თანხლებით შეიჭრა პორტის დარბაზში, საცა მაშინვე გაისმა რევოლვერის ხმა. მოკლულია ნაზიმ-ფაშა, ორი მისი ადიუტანტი და სხვანი. სულ 6 კაცი. ტელეფონის მავთულები წინდაწინვე დაჭრილი იყო.

კომიტეტის მოწინააღმდეგეთა დაპატიმრება გრძელდება. შეპყრობილია 200 კაცზე მეტი. საოპოზიციო გაზეთების რედაქციები დაკეტილია. ირწმუნებიან, რომ ნაზიმ-ფაშას ერთგული მეომარნი და მისი თვისტომნი ჩერქეზნი შურს იძიებენ მის მოკვლის გამო. მდგომარეობა ფრიად საძნელო, რადგანაც ჩათალჯასთან ჯარის ნაწილი კომიტეტის მოპირდაპირეთა უფროსობის ქვეშ იმყოფებიან.

ხმა დადის, მთავარ ბინაზე ემისარები გაიგზავნენ კონტრ-რევოლიუციის საწინააღმდეგოდ.

ბელგრადი. „სამოუპრავა“, სტამბოლში მომხდარ ცვლილების გამო, სწერს, რომ ბალკანეთის სახელმწიფონი უკან არ დაიწევენ და დაწყებულ საქმის დაბოლოვებას შესძლებენო.

სტამბოლი. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტს ცნობები შეუკრებია, რომ ენვერბეი, ქიამილ-ფაშასთან მოლაპარაკების დროს ყურადღებას არ აქცევდა იმ გარემოებას, რომ ხაზინა ცარიელი იყო და ომის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ენვერ-ბეი ამბობდა: ერთობისა და პროგრესის 4 კომიტეტი გადასცემს რა ფულიც აქვს მთავრობას და ყოველი წევრი თვის ქონებაზე ხელს აიღებსო. კორესპონდენტს შეუტყვია რომ კომიტეტს არა აქვს ფული, თუმცა როდესაც მთავრობას სათავეში ედგა სახელმწიფოს შემოსავლით სარგებლობდაო.

პარასკევს ჩვეულებისამებრ მოხდა სელიამლიკი. სულთანი მეჩეთში შეფკეტ-ფაშისა და ენვერბეის თანხლებით წავიდა. ხმები დადის, რომ ზავის მსურველთა და ძველ კაბინეთის მომხრეებს განზრახვა აქვთ ხელმეორე არეულობა მოახდინონ. მოელიან ნაზიმ-ფაშის მომხრეებისაგან შურის ძიებას.

ბერლინი. „ნორდ-დეიტშე-ალგემეინე-ცეიტუნგის“ აზრით, ოსმალეთის არეულობის შემდეგ ფრიად საშიშია, დიდმა სახელმწიფოებმა ერთსულოვნად იმოქმედონ. ამისთვის საჭიროა დავიცვათ სრული ნეიტრალიტეტი.

ვენა. ოსმალეთის რევოლიუციის გამო, „პოლიტიკა“ სწერს: დიდი სახელმწიფონი მოვალენი არიან ან რევოლიუციონერებს მიაღებინოს ზავი, ან ომის განახლების საშუალება მოგვეცეს. რადგანაც სამთა კავშარი წინააღმდეგია ოსმალეთზე ძალის მიტანისა, სსქმის ვითარება სავსებით დამოკიდებული იქნება სამთა შეთანხმების ენერგიულ მოქმედებაზე.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

12—13—14 იანვარი.

სოფია. სტამბოლის ცვლილებამ არავინ გააკვირვა. რაკი ახალგაზრდა ოსმალთ ხელთ იგდეს მთავრობის სადავეები, ომის გაგრძელება აუცილებელია. როგორც ოსმალეთიდან იტყობინებიან, მთავრობამ მთავარსარდლებს სათანადო განკარგულება დაუგზავნა.

ლონდონი. ბალკანეთის დელეგატებს ახალი ინსტრუქციები არ მოსვლიათ. ჰგონიათ, რომ მათი მთავრობა ოსმალეთის პასუხს ელის დიდ სახელმწიფოთა ნოტაზე. სალამოთი დელეგატები, ნოვაკოვიჩის თავმჯდომარეობით, სათათბიროთ შეიკრიბნენ. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტთან ბაასში, დელეგატებმა მდგომარეობიდან გამოსასვლელად ერთადერთ ღონისძიებად, ომის განახლება ჩასთვალეს.

სოფია. მინისტრთა საბჭომ რამდენიმე სხდომა მოანდომა იმ საკითხთა განხილვას, რაიც ოსმალეთის სახელმწიფო ცვლილებამ გამოიწვია. გადაწყვეტილებას არ ამჟღავნებენ. საფიქრებელია, რომ მთავრობა ოსმალეთის პასუხს ელოდეს. ოსმალეთში მომხდარ ამბავს ფანდად სთვლიან. ხმა გავრცელდა, ჩათალჯასთან ჯარი ღელავსო. ნაზიმ-ფაშის მომხრეებს ვითომც ჰსურდეთ არეულობაში ჩარევა და ქიამილ-ფაშის დაბრუნება.

ბელგრადი. სამხედრო პარტიის თვალ-საჩინო მოღვაწემ პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტს უთხრა: მთავრობა ენერგიულად უნდა შეუდგეს მოქმედებას, რადგანაც დიდ სახელმწიფოთა იმედი აღარ არისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებიდან·

ოსმალეთი ყოყმანობს.

თითქმის ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც დიდმა სახელმწიფოებმა ნოტა წარუდგინეს ოსმალეთს, მაგრამ ამ უკანასკნელს ჯერაც არ გაუცია გარკვეული და გადაჭრილი პასუხი. სტამბოლიდან ერთი მეორისსაწინააღმდეგო ცნობები მოდის. ერთი მხრით ამბობენ, რომ ოსმალეთის მთავრობა „ახალგაზრდა-სმალთა“ შიშით, რომელნიც რევოლუციას ემუქრებიან მთავრობას, უარს ამბობს სახელმწიფოთა ნოტის მიღებაზე, მეორეთა აზრით კი, ოსმალეთი პირდაპირ პასუხს არ გასცემს მათ და ეცდება ხელახალი მოლაპარაკება გამართოს ევროპის სახელმწიფოებთან.

ბულგარეთის მოლოდინი.

მთავრობის წრეებს სტამბოლიდან ცნობა მიუღიათ, რომ ოსმალეთის მთავრობა თითქოს ადრიანოპოლის დათმობისკენ იხრებოდეს. საზოგადოებრივი აზრი აღნიშნავს, რომ თუ ეს ცნობა მართალია, ომის განახლების მთავარი მიზეზიც მოსპობილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეგეის ზღვის კუნძულების საკითხში არც ისე ძნელი იქნება კომპრომისის გამონახვა. ასევე დამამშვიდებელია უკანასკნელი ცნობებიც ბულგარეთ-რუმინიის დავის შესახებ. როგორც ეტყობა, საზღვრების გამოსწორების საკითხში უკვე მოხდა მათშორის პრინციპიალური შეთანხმება, ახლა წვრილმანებზე მიდგება ჯერი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

12—13—14 იანვარი.

საზღვარ-გარეთ

იაპონია.

ტოკიო. ახალგაზრდა-კონსტიტუციონალისტთა საზოგადოებამ გადასწყვიტა პეტიცია მიართვას იმპერატორს, საცა გულისწყრომა იქნება გამოცხადებული კაცურას და გენროს წინააღმდეგ, მეფის სახლის პოლიტიკურ ბრძოლაში ჩარევის გამო.

ტოკიო. კაცურას ახალი პარტია ჯერ მცირე რიცხოვანია.

ტოკიო. პარლამენტის მუშაობის შეჩერების გამო ქუჩებში მიტინგები და მანიფესტაციები ხდება.

საერთაშორისო კრება.

პარიზი. დაიწყო საერთაშორისო კრება ლოთობის საკითხისგამოსარკვევად.

პარიზი. პალატა. ბრიანმა უპასუხა შემკითხველებს: კაბინეთი ისეთ ხალხისგან შევადგინე, რომელთაც დამსახურებული აქვთ პატივისცემა და ნდობა.

რუსეთი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ხარუზინი სენატორად დაინიშნა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს, 17 იანვარს, **კ. ს. მესხის საბენეფისოდ** ქართულ დრამატიული დასი ვ. ა. აბაშიძისა და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოადგენს შექსპირის ცნობილს ტრაგედიას **„ოტელლოს“**. მობენეფისე შეასრულებს იაგოს როლს, ოტელლოსას ვ. გუნია მასხარას ვ. აბაშიძე. რეჟისორობს ბ-ნი ვ. შალიკაშვილი.

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. ხვალ, 17 იანვარს ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახიობ ბ. სვ. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მეორედ ნინოშვილის რომანიდან გადმოკეთებული დრამა „სოფლის გმირები“ ვ. ირეთელის მიერ. მონაწილეობს მთელი სც. მოყ. დასი. ადგილების ფასი 5 კ.—50 კ.

დღეს, 16 იანვარს, დანიშნულია **ოსური წარმოდგენა.** წარმოადგენენ პიესებს: „სირცხვილს სიკვდილი სჯობია“ დრამ. ბრიტაევისა, „მატყუარა“—კოჩიევისა და „დატრიალდა ჯარა“—ცაგარლისა. ფასები 15 კაპ.—80 კაპეკამდე.

ბაქო. ბ-ნ ფოცხვერაშვილის პიესა „აშენდა საქართველო“, რომელმაც თავის დროზე ამდენი ლაპარაკი გამოიწვია ქართულ პრესაში, ბაქოელებმაც ნახეს. წ.-კ. საზოგადოების აქაურ განყოფილების დრამატიულმა სექციამ ეს პიესა, თვით ავტორის ხელმძღვანელობით, 12 იანვარს წარმოადგინა. პიესა, რა თქმა უნდა, კარიკატურაა, მაგრამ კარიკატურა კოხტა და მოხდენილი, სიცართლით შეზავებული და ირონიით სავსე. ავტორს მახვილი კალამი აქვს, ამასთან ეტყობა დაკვირვება. მხატვრულის თვალ-საზრისით თუ შევხედავთ პიესას, იგი, რასაკვირველია, სუსტი გამოდგება, მაგრამ ზოგჯერ ასეთი კარიკატურაც ძალიან ბევრ რამეს ეუბნება მაყურებელს.

პიესამ მხიარულად ჩაიარა. მთელი საღამო დარბაზში განუწყვეტელი სიცილი ისმოდა. სტუდენტების როლების ამსრულებელნი სუსტები იყვნენ, ბ-ნ მატარაძის გარდა. სამაგიეროდ მოხდენილის თამაშობით დაუსრულებელი ტაში გამოიწვიეს ბ-ნმა თალაკვაძემ—სარდაფის მოსამსახურე და ბ-ნმა ქარქაშიძემ (ფსევდონიმია) — იმერელი, აზნაურობის მაძიებელი. თალაკვაძე დახელოვნებული სცენის-მოყვარეა და იმერლის როლებში აქ შეუდარებელია. ქარქაშიძე კი პირველად გამოვიდა სცენაზე და მაინც ყველანი გააკვირვა. მან სამაგალითოდ გააპიროვნა აზნაურობის მაძიებელი, ცხოვრებაში გამოცდილი და სხვა და სხვა ხრიკებში გამოქნილი იმერელი. წვრილმანებშიაც კი დაკვირვება ეტყობოდა. ტანისამოსი, გრიმი, კილო, მიხვრა-მოხვრა უნაკლულო ჰქონდა. ძალიან საინტერესოა ამ სცენის-მოყვარის სხვა როლებში ნახვა.

მესამე მოქმედების შემდეგ ავტორი გამოიწვიეს.

დასასრულ ქ-ნ ანდრონიკაშვილისა და ბ-ნ ამაშუკელის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა ვოდევილი „თაგვის ბრალია“.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

განცხადებანი

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს
ფერდ. მიულჰენსი
კოლოფი ✦ პარფიუმერია
30 კაპ. ✦ № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.



Метцъ
529935
529954
1021.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: **სამგზ.-საბარგო** № 8, საღ ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: **სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: **ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: **სახ.-საბ** № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: **სახ.-საბ.** № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. **ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № [illegible], საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: **სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: **სახ.-საბ.** № 8/7, საღ. 5 ს 28 წ.

ყარსიდან: **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: **სახ.** № 43. დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: **სახალ.** № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან ხურამში **სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: **სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: **სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: **სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: **სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს. **სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: **სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; **სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: **სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: **სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: **სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. **სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: **სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.** და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევს**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა .**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ [illegible]. **სამშ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“ საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 6[illegible]9).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ, 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 7[illegible]5).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიმთვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

დ. ზესტაფონში
ექიმი კბილისა ბაბილინა ცხადაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

10 მან. თვეში
ვამზადებთ, ძლიერ ბეჯითად ბავშვებს, მაისისა და აგვისტოს ეგზამენებზე მისაღებად: გიმნაზიაში, კადეტ-კორპუსში, სათავად-აზნაურო, რეალურ, კომერციულ და სასულიერო სასწავლებლებში 1, 2, 3 და 4 კლასში. (ჩვენმა შეგირდებმა ძლიერ ბეჯითად დაიჭირეს ეგზამენი შარშან და იქმნენ მიღებულნი ზემოხსენებულ სასწავლებლებში) ძლიერ მცირე ხანში გავდივართ მთელს კურსს მათემატიკისას, ვასწორებთ სუსტ მოწაფეებს, რომელთაც აქვს ბილეთში „ორები“, როგორც მათემატიკაში, აგრეთვე ყველა საგნებში. ჩუღურეთის შესახვევი № 5, პირველ კომერციულ სასწავლებლის ახლოს, ეკატერინის ქუჩის ბოლოს.
მიღება 9—12 ს. 3—4 ს 36.

8 იანვარს, მცხეთიდან ჩამოსვლისას სახლის წინ მიტანილ **ბარგიდან** (მინკვიცევსკის ქუჩა, № 27),
დავკარგე პატარა ჩემოდანი,
ტანისამოსითა და სხვა ნივთებით. სხვათა შორის შიგ იყო **მოწმობა** წინამძღვარიანთ კარის სასწავლებლისა და პასპორტი სოფ. ჭოპორტის საზოგად მიცემული. იოსებაძის სახელობაზე. **ვლადიმერ იონინ იოსებაძის** სახელობაზე მპოვნელსა სთხოვენ გადასცენ ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში არჩილ იოსებაძეს. 3

ახლად გაიხსნა
სამშობიარო თავშესაფარი
ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა.
ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა. საბებიო საქმესა და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღებას და აგრეთვე ძიძათა შემოწმებას ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე **ექიმი ა. გ. ავეტისოვი.**
ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3. 1018

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას რომ 9 იანვრიდან
გავხსენი ვაგზლის ქუჩაზე, № 14,
სასადილო „მინგრელია“,
სადაც **მზადდება ქართული და იმერული საჭმელები: ღომი, მჭადი საცივი,** ჩიხირთმა, კუპატი, ხაჭაპური და სხვა და აგრეთვე ევროპიულიც, აგრეთვე ვგზავნით სადილებს სახლებშიაც. გვაქვს ყოველნაირი მაგარი სასმელები,
38 პატივის ცემით **ს. ელიავა.**

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ,
მექანიკური ნაწარმოები. 30.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
**11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.**
ი. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბებსართელი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. წულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. მელიქსანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისის, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ა. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საშარდე და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. მელიქსანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1104 დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ექიმების მიერ:	დილით:
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და [illegible]	**სპექტორი გ. მ.**	8½—9½ ს.
	გაზაზოვი ა. ა.	10—11 ს.
	იაშვილი ა. ლ.	11—12 ს.
	აბაკელია ი. ქ.	12—1 ს.
	ღოღობერიძე გ. მ.	12½—1½ ს.
[illegible]	**გრიგორიანი ა. ი.**	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა.	12—1 ს.
	ჯაში ი. ი.	9½—10½ ს.
[illegible]	**გრიგორიანი ა. ი.**	11—12 ს.
[illegible]	**ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ.**	11—12 ს.
	ღოღობერიძე	12½—1½ ს.
[illegible]	**შტრეიხერი მ. ა.**	12 12½ ს.
[illegible]	**შაპელნიკოვი გ. ი.**	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი ფასებით. 1581

✦ გამოსულია და იყიდება ✦
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ძმათა ვართანოვების
ახლად აშენებულ სახლში, (მეტეხის ქუჩისა და კახეთის მოედნის კუთხე)
ქირავდება
სარდაფები, მაღაზიები, საბინადრო ოთახები ან რაიმე დაწესებულების, სადგომად, რომელიც ზემოთა სართულშია მოთავსებული. მსურველთ უნდა მიჰმართონ სახლის პატრონებს თავის დროზე და ისე გადააკეთებს ოთახებს, როგორც მოქირავნე მოისურვებს.
მისამართი: სიონის ქუჩა, ანანოვის ქარვასლა, სავაჭრო სახლი **ძმათა ვართანოვებისა.** 37

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,**
და ყოველგვარი
✦ შავი ხიზილალა ✦

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:

აბაშიძე გრ.	ფ. 60 კ.
ბარათაშვილი ნ.	„ 40 „
ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ.	1 მ.—
გურამიშვილი დ. „დავითიანი“	1 მ.—
გურიელი მამია	1 მ.—
განდეგილის ლექსებ.	— 50 „
დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ.	70 „
ერისთავი რაფ. წ. I	1 მ.—
ევდოშვილი, ლექსები და პოემები	60 „
ვაჟა-ფშაველა	1 მ.—
ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. 10 მ.	65 „
„ „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ.	60 „
თამარიანი, გუგუნავასი	50 „
ორბელიანი ვახტ.	60 „
ორბელიანი გრ. რჩეული ლექს.	20 „
სილოვანის ლექსები 1878—1894.	50 „
ცისკარი. რუხაძის ლექსები	25 „
შანშიაშვილი. შვების თავადი	60 „
ჭავჭავაძე ალ. ლექსები	30 „
ჭავჭავაძე ილ.	27 „
წერეთელი აკაკი ტ. I	1 მ.—
— = ტ. II	1 მ.—
— —ჩემი ნაწერ. ტ. I	75 „
— — იგავ-არაკნი	50 „

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4. ტელეფ. 976).
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtonში. მასალიები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.
საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
ლექტორებად კურსებზე არიან უმაღლეს სატექნიკო სწავლა-მიღებულნი. გავხსენით სპეციალური ქალთა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით, და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეებისთვის ეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს ხულ 228 მსმენელი იყო. ამათგან 42 ქალი. რადგანაც მსურველი ბევრია, კურსებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ნამეტნავად ხელსაყრელია ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის. 107

ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.